

აფიშო და წარსულის გაპვეთილები


ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №6, 2025 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციების**

და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი. გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული

ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე **პროექტის გუნდი.**




„რა ხელჳყრის ჰაჭივს ნაზი ზუღრჳლი,

გაღიაშია დატყვევჳლი!

ესრეთ რას არგებს კარსაჳ დიდება,

თჳ მოაკლოდება თავისუფლება?“

ნიკოლოზ ზარათაშვილი
1839 წ. „მედი ქართლისა“



1783 წელს „გეორგიევსკის ტრაქტატით“ რუსეთმა ჯერ დაგვასუსტა მეგობრების ჩამოშორებით, პირველივე ომში ღალატით – სამხედრო დახმარების დაპირებების მიუხედავად, რუსეთის სრული უმოქმედობით, 1795 წელს თბილისი დაარბია ირანის შაჰმა ალა-მაჰმად-ხანმა; მივიღეთ დაცვის მაგიერ ანექსია. იმიტომ, რომ თავიდანვე ეს იყო მიზანი – ტყუილით, მეგობრის ნილბით დაპყრობა! ეს მეთოდები რუსეთის იმპერიას, ცარიზმში იქნება, სსრკ თუ ახლანდელი რუსეთის ფედერაცია, არასოდეს შეუცვლია.

არასოდეს უღიარებია საქართველოს ეროვნუ-

ლი იდენტობა და ფასეულობა: ტეროტორიული მთლიანობა, სუვერენული მართვის უფლება, კულტურული ძეგლები, ისტორია, ენა, დამწერლობა, ქორეოგრაფია, ფოლკლორი...

პირიქით, იყო დამცირება, ისტორიის „გადანერა“, აკრძალვა.

რატომ წერს ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი „გაზაფხულზე“, „ჩიტზე“? აკაკი რატომ მიმართავს „ნაძალადეობ საქმროს“?

იმიტომ, რომ ჩვენი „ძმადნაფიცი“ აკონტროლებდა ამას და კანონითაც და ძალადობითაც სჯიდა კიდევ საქართველოს თავისუფლების, რუსეთის

მზაკვრობის ხსენებას! მეთოდები – დაპატიმრება, გადასახლება, დახვრეტა ან მუხანათურად მოკვლა...

საქართველომ ორჯერ დააღწია თავი ამ ჯოჯოხეთს, რომელმაც დადებითიც მოიტანა - რუსეთის გარდა არავინ გვეომებოდა, ფიზიკურად გადავრჩით... თუმცა, სსრკ-მ მშვიდობით წაიღო ჩვენი ტერიტორია, ხოლო რუსეთის ფედერაციამ ომით წაგვართვა. მეტიც, ისევ ცდილობს რუსეთის გუბერნიად გვაქციოს დროებით ოკუპირებული აფხაზეთის და სამაჩაბლოს ჩათვლით.

რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა 21-ე საუკუნეში „დამეგობრებულ“ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

თავისი გავლენის შესანარჩუნებლად საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში, კრემლი იყენებს ერთსა და იმავე ძალადობრივ სტრატეგიას: ალვივებს სეპარატიზმს, ავრცელებს დეზინფორმაციას და ერევა ყალბი, მოგონილი საბაბით. ხშირად ეს ჩარევა სამხედრო ხასიათისაა - ინყებს ომს ვითომდა სამშვიდობო მისიით.


სეპარატიზმის გაღვივება: საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში, მოსკოვი მხარს უჭერს ადგილობრივ სეპარატისტულ მოძრაობებს და იყენებს სამხედრო ძალას „შუამავალი“ გაყინული ზონების შესაქმნელად. **დეზინფორმაცია, სიყალ-**

ბე: მოსკოვის თავდასხმას დამოუკიდებელ ქვეყნებზე თან სდევს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის ნარატივები; ყველაზე ხშირი არის მტკიცება, თითქოს კრემლი „იძულებული“ იყო შეჭრილიყო სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. სინამდვილეში, როცა პოსტსაბჭოთა ქვეყნები დემოკრატიული მმართველობისკენ ან ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ ისწრაფვიან, კრემლი მათ პასუხობს გაყოფის, ოკუპაციისა და დესტაბილიზაციის სცენარით.

„სამშვიდობო იძულებითი ოპერაცია“ ყალბი საბაბით: 2008 წლის აგვისტოში რუსეთი შეიჭრა საქართველოში „იძულებითი

სამშვიდობო ოპერაციის“ საბაბით. კრემლი ამტკიცებდა, რომ საქართველომ გენოციდი მოახდინა სამხრეთ ოსეთში – ეს ბრალდება მოგვიანებით უარყვეს საერთაშორისო გამომძიებლებმა. 7 აგვისტოს საქართველოში უკვე იდგა რუსეთის ჯარი, რომელიც როკის გვირაბით შემოიპარა. მანამდე კი რუსეთის მხრიდან იყო ბევრი პროვოკაცია, ქართველების ეთნიკური წმენდა.

რეალური მიზანი: რუსეთის რეალური მიზანი იყო 1990-იანი წლების ეთნიკური კონფლიქტით გაჩენილი ბზარის გაღრმავება და რეგიონის რუსეთის კონტროლის ქვეშ მოქცევა.



დღეს ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი რომელსაც ფორმალურად აღიარებს რუსეთი (და კიდევ რამდენიმე ქვეყანა) როგორც „დამოუკიდებელ სახელმწიფოს“, თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული მოსკოვზე – სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსური თვალსაზრისით. **კრემლის სატყუარა:** კრემლი ტოვებს ბუნდოვან „შესაძლებლობას“, თითქოს საქართველოს

ოდესმე დაუბრუნდება მოსკოვის ოკუპირებული ტერიტორიები, რათა თბილისი კვლავ მოექცეს მისი გავლენის ქვეშ. თან, გავლენის გასამყარებლად, მოსკოვმა ბოლო პერიოდში გაამარტივა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებისთვის რუსეთის პასპორტების მიღება.

წყარო: <https://euvdsinfo.eu>



წყარო: www.damoukidebloba.ge
www.publika.ge

33 წელი აფხაზეთის ომიდან

33 წლის წინ, 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში რუსული სამხედრო აგრესია დაიწყო.

შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე, 1992 წლის 23 ივლისს, აფხაზეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ რეგიონის დამოუკიდებლობის შესახებ გამოაცხადა. ეს ნიშნავდა, რომ ავტონომიურმა რესპუბლიკამ უარი თქვა საქართველოს კონსტიტუციაზე. ამ გადაწყვეტილებამ ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ვითარება უკიდურესად დაძაბა.

სახელმწიფო საბჭომ სოჭი-ინგილის რკინიგზის მონაკვეთის დასაცავად აფხაზეთში ეროვნული გვარდიის შეყვანა 11 აგვისტოს, ვლადისლავ არძინბასთან შეთანხმების შემდეგ გადაწყვიტა.

1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის და პოლიციის შენაერთები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

რუსეთ-საქართველოს რკინიგზის სოჭი-ინგილის სარკინიგზო მონაკვეთის დასაცავად შევიდნენ, ვინაიდან გახშირებული ყაჩაღობის გამო საქართველო დიდ ზარალს განიცდიდა.

შეთანხმების მიუხედავად, აფხაზეთში შესვლიდან რამდენიმე საათში ქართულ ჯარს ვლადისლავ არძინბას განკარგულებით შექმნილმა ე.წ აფხაზურმა გვარდიამ საქართველოს ეროვნულ გვარდიას აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილებისას ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში და სოხუმში წინააღმდეგობა გაუწია, რასაც აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყება მოჰყვა.

სეპარატისტებს მხარს რუსეთი უჭერდა. ამის შემდეგ საქართველოს ეროვნული გვარდია სოხუმისკენ დაიძრა.

14 აგვისტოს დაწყებული დაპირისპირება მალევე გადაიზარდა ომში, რომელიც 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა.

1993 წლის 27 სექტემბერს რუსეთის შეიარაღებული ძალების, ჩრდილო კავკასიის კონფედერაციებისა და დაქირავებული „ბოვეიკების“ მეშვეობით აფხაზმა სეპარატისტებმა აიღეს სოხუმი.

1993 წლის 30 სექტემბერს რუსეთის სამხედრო რესურსებისა და დაქირავებული რაზმების ხელშეწყობით სეპარატისტებმა მოახდინეს აფხაზეთის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია.

ოფიციალური მონაცემებით, აფხაზეთის ომში 5 738 მშვიდობიანი ქართველი დაიღუპა. 300 000-მდე ქართველი იძულებული გახდა, საკუთარი სახლი დაეტოვებინა.

იმის გამო, რომ საქართველოს სახელმწიფო უწყებებს მონაცემების შესაგროვებლად უკიდურესად შეზღუდული რესურსი ჰქონდათ, სავარაუდოდ, დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა ოფიციალურ რიცხვებს მნიშვნელოვნად აღემატება.



33 წლის წინ, 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის ომი დაიწყო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით 2008 წელს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ზონებში განხორციელებული აგრესიის შედეგად დაჭრილ / დაშავებულ სამოქალაქო და სამხედრო პირთა რაოდენობა ერთად შეადგენს 2 232-ს მათ შორის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა შეადგენს 1045-ს.

2008 წლის აგვისტოს ომმა საქართველოს

დევნილი შემატა

დღეს საქართველოში უკვე 263 598 დევნილია



2600 მდე



263 598 მდე



ჩანართი მომზადებულია ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი „პროგრესის სახლის“ მიერ
მისამართი: 3500, ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. N11 ა



yscozurgeti@gmail.com

2008 წლის 12 აგვისტოს

6 პუნქტიანი შეთანხმება არ სრულდება

- ⇒ ძალის გამოყენებაზე უარის თქმა
- ⇒ საბრძოლო მოქმედებებზე საბოლოო უარის თქმა
- ⇒ ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა
- ⇒ საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მათი ჩვეულებრივი დისლოკაციის ადგილებში
- ⇒ რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე. რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს
- ⇒ საერთაშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ



რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა

2008 წლის 27 აგვისტოს რუსეთის დუმამ ოფიციალურად მხარი დაუჭირა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. 28 აგვისტოს აღიარების დოკუმენტს ხელი მოაწერა რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა.

- რუსეთი ოკუპანტია. ოკუპანტი სუღია. ანუ რუსეთი სუღია.
- თუ NATO-ში შევაღოთ, ვერავინ ვაღარავს გაგვიზღაფს. ამიტომ NATO კალიან კარგია.
- თავისუფლება არა ღოთა, არამედ ადამიანთა სუღარია.

ჯანა ბენდუქიძე